2024 წლის 9 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია (30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)
სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - (30 02)

პროგრამის განმახორციელებელი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახემწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახემწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	154 600.0	154 509.3	117 454.5	76.0%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჰაერო ფლოტის მხარდაჭერა.

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლინდა და აღიკვეთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (1 269 ფაქტი, დაკავებულია 1 167 პიროვნება): ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 939 ფაქტი (939 პირი), წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 330 საქმეზე დაკავებულია და ბრალი წაეყენა 228 პირს;
- სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები. ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 1 401.9 ათასი ლარი.
- 2022 წელს სამი H-145 ვერტმფრენის შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიღებულია სამი ვერტმფრენი H-145 (GBP-10023, GBP-10024 და GBP-10025) და ნაწილობრივ ანაზღაურებულია 2024 წელს გადასახდელი თანხები (დარჩენილია შესყიდული ვერტმფრენების თანმდევი მარაგი ნაწილების თანხა).
- 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შვეულმფრენს ბორტი GBP-10004 ჩაუტარდა 12/1200 საათიანი ტექნიკური ინსპექტირება.
- ჩატარდა ვერტმფრენის საჭის ხრახნის მილისას კაპიტალური რემონტი და სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი ვერტმფრენის საჭის ხრახნის ლოპოტებით დაკომპლექტება/დაბალანსება.